გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ძმურ მეგობრობასა და ურყევ ერთიანობას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 200 (6761) 16 1980 წ. ოქტომბერი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ახალი რუბრიკა:

„საქართველოს დიდი რკალი“

ვით მდინარე წყალუხვი, ქართული საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობა მუდამჟამ იკვებებოდა დიდი და მცირე შენაკადებით, — თავის უბეში იღვრიდა აფხაზეთში, მთისძირად, კოლხეთის დაბლობზე, ქართლ-კახეთისა თუ იმერეთის ბორცვებზე წარმოდენილ მაცოცხლებელ ნაკადულებს, წყაროებს — საქართველოს ყველა კუთხეში დაბადებულ მუხლმაგარ და მკლავმოუღლელ ჭაბუკთა თუ ქალიშვილთა — ფიზკულტურელთა თუ სპორტსმენთა ახალ-ახალ რაზმებს. ქართული საბჭოთა ფიზკულტურა და სპორტი წარმოუდგენელია ამ ურთიერთგამამდიდრებელი დიალექტიკური პროცესის გარეშე.

და დღეს, როდესაც ასე საგულდაგულოდ ვემზადებით და ვზრუნავთ, რაც შეიძლება ამაყად წელგამართულნი, უხვად ხელდამშვენებულნი შევხვდეთ ჩვენი დიადი ქვეყნის მატიანეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, აგრეთვე ყოველი ჩვენგანისთვის ესოდენ საამაყო თარიღს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ჩვენი რესპუბლიკის სიმბოლურ სპორტულ რუკას.

ის, რომ საქართველოს წარგზავნილები თვით ყველაზე მაღალი რანგის — ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებად გვევლინებიან და მათი სპორტული ნადავლი ბარე ორ და სამ დიდ სახელმწიფოს, ერთად აღებულს, ეყოფოდა საამაყოდ, საიდუმლო ამბავი აღარაა: მხოლოდ სოციალისტური საბჭოური ცხოვრების წესს, ხალხთა ძმურ კავშირს, მათს ურთიერთშევსებას და ამ კონგლომერატის ურყევ ძალას შესწევს უნარი ფიზიკური კულტურა და სპორტი ხალხის საკუთრებად აქციოს და რჩეულებს მაღალი სპორტული მწვერვალებისკენ გაუკაფოს გზა.

„საქართველოს დიდი რკალი“ — ასე ვუწოდეთ რუბრიკას, რომელსაც დღეს ვიყენებთ პირველად „ლელოს“ ფურცლებზე და რომელიც მიზნად ისახავს ჩვენს მკითხველებს მოვუთხროთ ქართული სპორტის დიდი მდინარის ყველაზე მნიშვნელოვანი შენაკადების — აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, თბილისის სპორტული ორგანიზაციების იმ უდიდეს წვლილზე, რაც მათ შემოჰქონდათ და შემოაქვთ სამოცი წლის მანძილზე.

ეს თავისებური ესტაფეტა სტარტს იღებს აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში...

აფხაზეთი: სპორტის დიდ გზაზე — მტკიცე ნაბიჯით!

წარმატებები იმრავლებს

გ. ტარბა,
საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე

ეკონომიკისა და კულტურის განუხრელ ზრდასთან ერთად საბჭოთა აფხაზეთში ფართოდ ვითარდება ფიზკულტურა და სპორტი, რომელსაც მდიდარი ტრადიციები გააჩნია. აფხაზეთის მიწაზე აღზრდილა ბევრი გამოჩენილი სპორტსმენი, მათ შორის ფეხბურთელები ა. ღოღობერიძე, ვ. მარღანია. ნ. ძიაპშიპა, ნ. სიმონიანი, ვ. ბარქაია, გ. სიჭინავა, ი. ვარდიმიადი, გ. გრამატიკოპულო; წყალში მხტომელი მ. ჩაჩბა; სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი მძლეოსანი ვ. სანეევი; მონრეალის ოლიმპიადის მონაწილე ტყვიის მსროლელი მ. პაპავა; მოჭიდავეები ვ. მაჩკალიანი, ვ. მარშანია და რ. ხუტაბა; ძალოსანი რ. ტარკილი და სხვ.

წარმატებებით გვახარებს სპორტსმენთა უფრო ახალგაზრდა თაობა: მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე ვერცხლის მედალი დაისაკუთრა შუბის მტყორცნელმა საიდა გუნბამ; საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გ. ყურაშვილი მსოფლიოს ჩემპიონია თავისუფალი სტილის მოჭიდავე იუნიორთა შორის; სამბისტმა ს. ტერნოვისმა ვერცხლის მედალი დაისაკუთრა მსოფლიო ჩემპიონატში ახალგაზრდებს შორის.

ავტონომიურ რესპუბლიკაში არის მაღალკვალიფიციურ მწვრთნელთა კადრები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ნაყოფიერი მუშაობით. მათ შორის უნდა დავასახელოთ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. კერსელიანი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელები ბ. ჰოლოკუა, ა. სედოვი, შ. კიკაბიძე, ს. მალხასიანი, გ. ქირია, მ. თურქია, ა. ნორაკიძე, და სხვ.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში არის ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის ფაკულტეტი.

სპორტის ძლიერება მის მასობრიობაშია. ამიტომაც ფიზკულტურისა და სპორტის ფართოდ დანერგვისათვის დიდი მუშაობა მიმდინარეობს ყველგან, მათ შორის საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. უყურადღებოდ არც სოფლის მშრომელები არიან დატოვებული. აფხაზეთის სოფლის სპორტსმენები საქართველოს უძლიერესთა რიგებში ირიცხებიან. ტრადიციად იქცა სოფელში საცხენოსნო სპორტის ეროვნულ სახეობებში ასპარეზობათა გამართვა, რომელიც ნამდვილ სახალხო დღესასწაულად იქცევა ხოლმე.

ავტონომიურ რესპუბლიკაში იზრდება სპორტულ ნაგებობათა ქსელი. სოხუმში აშენდა ახალი სტადიონი. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში დამთავრდა ორიგინალური კონსტრუქციის სპორტდარბაზის მშენებლობა. შემუშავებულია და თანდათან სრულდება მთელი რიგი სპორტული ობიექტების მშენებლობის გეგმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად, გუდაუთის რაიონში აშენდება დიდი სპორტული კომპლექსი.

ყოველწლიურად იზრდება სპორტულ შეჯიბრებათა რაოდენობა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარღანიას სახოვნის პრიზის გათამაშება ჭაბუკ

(დასასრული მე-2 გვ.).

თითქმის ექვსი ათეული წლის წინათ გაზეთი „შრომითი აფხაზეთის ხმა“, ეხებოდა რა ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში, წერდა: „მართალია, ჩვენ ჯერ არ გაგვაჩნია არც ერთი სპორტული საზოგადოება და კლუბი, მაგრამ უკვე ვგრძნობთ ადგილობრივი ახალგაზრდობის ფართო სპორტული მიღწევების პერსპექტივას“.

და აი, პერსპექტივაც: დღევანდელი აფხაზეთი, მისი სპორტსმენები — ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები, მსოფლიოს, ევროპის და ქვეყნის პირველობებში გამარჯვებულნი, სპორტის ოსტატები, თანრიგოსნები — მრავალმილიონიანი საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ღირსეული წარმომადგენლები — ჭაბუკები და ქალიშვილები სოხუმის, ოჩამჩირის, გუდაუთის, გაგრის, ლესელიძის სტადიონებსა და სპორტულ დარბაზებში ახალ-ახალი სპორტული მწვერვალების დასალაშქრად რომ ემზადებიან...

◆

„ამრას“ ბაქანთან

ბედმა გაგვიღიმა — სადაც მივედით, ყველგან მოვარჯიშე სპორტსმენებსა და ჯგუფებს წავაწყდით. ბედმა? არა, უბრალოდ აფხაზეთში წარმოუდგენელია სტადიონი მძლეოსნების გარეშე, იპოდრომი ცხენოსნების გარეშე, საცურაო აუზი — მოცურავეების, წყალბურთელების, წყალში მხტომელების გარეშე. თუმცა, საკმაოდ გვიან იყო (მოუსვენარი დღით გადაღლილი და „გადახურებული“ მზე უკვე ზღვის ზედაპირს ეხებოდა, თავპირს იგრილებდა), მოლივლივე ზღვაში შეჭრილი იახტკლუბ „ამრას“ ბაქანთან ახალგაზრდების ჟრიამული ისმოდა. უკანასკნელ ნახტომებს ასრულებდნენ ნორჩი წყალში მხტომელები. გვერდით „დინამოსა“ და ქალაქის სპორტსკოლის წყალბურთელები არკვევდნენ ერთმანეთში უძლიერესის ვინაობას, ხოლო განთიადელმა აფროსნებმა — ოსტატობის კანდიდატმა ზურაბ გვაზავამ, პირველთანრიგოსნებმა ვანო მგალობლიშვილმა და რობერტ შარიცამ (ცს 15 წლის სპორტსმენი „სოლინგის“ მესაჭეა) მწვრთნელის — სსრ კავშირის ექს-ჩემპიონის, სპორტის ოსტატ ანატოლი ახუბას (სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ) ხელმძღვანელობით ესესაა დაამთავრეს მორიგი მეცადინეობა და ახლა გულმოდგინედ ამზადებდნენ „ძილისთვის“ თავიანთ იალქანს.

— ჩვენს საწყლოსნო სახეობების კლუბში 300-მდე წევრია, აქედან აფროსნობას თითქმის ნახევარი მისდევს, — გვეუბნება ა. ახუბა. — სიამოვნებით მინდა გაუწყოთ, რომ სულ ერთი თვის წინათ კიდევ ორი სპორტის ოსტატი შემოგვემატა: ახალგაზრდა სპორტსმენებმა ალექსი სობოლმა (მესაჭე) და გენადი ვიტვიჩუკმა (მატროსი) „470“ კლასის იალქნით ოსტატობის ნორმატივი შეასრულეს.

(დასასრული მე-2-3 გვ.).



● ფეხბურთი

საბჭოთა ნაკრების გამარჯვება

გუშინ მოსკოვში გაიმართა 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და ისლანდიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის (ევროპის III ჯგუფი).

თამაში მიმდინარეობდა მასპინძელთა სრული უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 5:0.

ბურთები გაიტანეს: მასპინძელთაგან — ანდრეევმა და ოგანესიანმა (2-2) და ბესონოვმა.

● კალათბურთი

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში შედგა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 48-ე ჩემპიონატის მორიგი მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ტალინის „კალევის“ გუნდებს შორის. ანგარიშით 77:75 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

● ხელბურთი

26:22

გუშინ მოსკოვში გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩი ხელბურთში დედაქალაქის ცსკა-სა და კრაკოვის (პოლონეთი) „გურნიკს“ შორის. მასპინძლებმა მეტოქე დაამარცხეს — 26:22 (11:10) და ასპარეზობის მომდევნო წრეში გავიდნენ.

მეტოქეთა პირველი მატჩი, რომელიც კრაკოვში 8 ოქტომბერს შედგა, ფრედ — 26:26 დამთავრდა.

აფხაზეთი: სპორტის დიდ გზაზე — მტკიცე ნაბიჯით!

„საქართველოს დიდი რკალი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმატებები იმრავლებს

დასასრული

ფეხბურთელთათვის, რომელიც საკავშირო მასშტაბით ტარდება, მოკრივეთა საკავშირო ტურნირი საბჭოთა კავშირის გმირ მ. ქანთარიას პრიზზე, სპორტის ოსტატ მ. ჩაჩბას მემორიალი წყალში ხტომაში, შეჯიბრებები სამხტომში ვ. სანეევის პრიზზე და სხვ.

მსოფლიო სპორტში საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის უზარმაზარი წვლილის აღიარება იყო XXII ოლიმპიური თამაშების ჩატარება მოსკოვში, სადაც საბჭოთა სპორტული დელეგაცია დიდი წარმატებით გამოვიდა. ამ საპასუხისმგებლო ოლიმპიური სტარტებისთვის ჩვენი ქვეყნის ბევრი ნაკრები ემზადებოდა ეშერის, ლესელიძის სპორტულ ბაზებსა და გალის წყალსაცავში. აფხაზეთის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ზრუნვა და ყურადღება არ დაუკლიათ ქვეყნის წამყვანი სპორტსმენებისთვის, რითაც დიდად შეუწყვეს ხელი ოლიმპიადა-80-ში მათ წარმატებით გამოსვლას.

ცნობილია, რომ ფიზკულტურისა და სპორტის სიყვარულს ბავშვობიდან ეყრება საფუძველი. ავტონომიურ რესპუბლიკაში შეუნელებლად ზრუნავენ მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდისთვის. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება „აფხაზეთის ასსრ-ში ბავშვთა და მოზარდთა შორის ფიზიკური აღზრდის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებების თაობაზე“, რომელმაც ხელი შეუწყო მუშაობას ამ მიმართებით.

რა თქმა უნდა, ყველა საკითხი როდი გვაქვს მოგვარებული. ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების, სპორტსაზოგადოებათა საბჭოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღება მიმართული უნდა იყოს ყველა ფიზკულტურულ კოლექტივში მუშაობის დონის ამაღლებისკენ. მხოლოდ ასე შეიძლება მივაღწიოთ ფიზკულტურისა და სპორტის ჭეშმარიტ მასობრიობას.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ასსრ-ს უმაღლესი საბჭოს სესიამ 1980 წლის 20 მარტს განიხილა საკითხი და მიიღო დადგენილება „აფხაზეთის ასსრ-ში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებებზე“, რაც ახალ სტიმულს მისცემს ავტონომიურ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლას. რწმენას გამოვთქვამთ, რომ აფხაზეთის სახელოვანი სპორტული ტრადიციები კიდევ უფრო გამრავლდება.

ა. კერსელიანი ახალგაზრდებთან

„შაპიტოს“ ნაცვლად

გავუევით ზღვის სანაპიროს და მშვიდობის პროსპექტზე ყოფილი ცირკ „შაპიტოს“ ადგილზე აღმოვჩნდით.

— „ცირკიც“ ამას ჰქვია! — იხუმრა ერთმა. მართლაც და: სულ რამდენიმე ხნის წინათ აქ მოძრავი დასების წარმოდგენები იმართებოდა, ახლა კი საკმაოდ მოზრდილ ტერიტორიაზე ჩოგბურთის 5 კორტი გადაჭიმულა. ტრიბუნებიც შენდება 500 მაყურებლისათვის.

— მცირე ხნის შემდეგ აქ უკვე შეიძლება პირველი ვარჯიშების ჩატარება, — გვაცნობს ახალ ნაგებობას მშენებელი სერგეი ხოჯამბერდიევი. იგი პირველთანრიგოსანია ჩოგბურთში და ცხადია, კორტის ექსპლოატაციაში შესვლის დღეებს ითვლის მოუთმენლად. მასთან ერთად ენერგიულად მუშაობენ აგრეთვე პირველთანრიგოსანი ზავენ ავეტიკიანი და რევაზ კობახია. კორტების მშენებლობას (ისინი განათლების სამინისტროს ეკუთვნის) ხელმძღვანელობს ამ საქმის კარგი სპეციალისტი, წინათ რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი ქანი გიგოლაშვილი. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ახალი ნაგებობის მწყობრში შესვლის შემდეგ (მანამდე სოხუმში სულ სამად-სამი მოედანი იყო — სპორტსაზოგადოება „განთიადის“, რომლებიც უკვე საკმაოდ მოძველდა) ჩოგბურთი კიდევ უფრო განვითარდება სოხუმში.

გეჯერა შენი, ვიქტორ!

...ჩოგბურთი — ჩოგბურთად, იალქანი — იალქნად, მაგრამ, გამოგიტყდებით, ჩასულთ განსაკუთრებით გვაინტერესებდა სანეევის მწვრთნელთან — შესანიშნავ პედაგოგ აკოფ კერსელიანთან შეხვედრა.

— ახლში ვერ იპოვით,—გაგვაფრთხილეს კოლეგებმა, — სტადიონზე მოინახულეთ, მხოლოდ არ ვიცით რომელზე — ძველზე თუ ახალზე... ერთი სიტყვით, იქ იქნება, სადაც ფეხბურთს არ თამაშობენ.

ძველი მეგობრებივით შევხვდით — ვინ იცის, რამდენჯერ გვინახავს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებსა თუ ტელეეკრანზე, რამდენჯერ უსიტყვოდ გვითქვამს მისი მისამართით: „გმადლობთ, სანეევისთვის!“

მხცოვანი მწვრთნელის ირგვლივ ათამდე ბიჭუნა თავშეყრილა.

— სანეევი რომელია? — ვეკითხებით.

მიგვიხვდა ქარაგმას:

— არა, სანეევობაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი, ისე, ოცნება კი შეიძლება. ბოლოსდაბოლოს სპორტული კერპი ამ პატარა ბიჭუნებსაც ხომ უნდათ ჰყავდეთ.

აი, მაგალითად, 13 წლის მეშვიდეკლასელი გენადი შლიახოვი მესამე წელია მისდევს მძლეოსნობას, სიგრძეზე უკვე 5 მეტრსა და 10 სანტიმეტრზე ხტება. ძალიან უნდა სანეევივით იასპარეზოს, მაგრამ აკოფ სამველის ძე ჯერ „არ უშვებს ლაგამს“ — ვარჯიშებს სისწრაფეზე, ხტომის თვისებებს უვითარებს, სამხტომი კი სად გაექცევა. თვით ვიქტორმაც ხომ მხოლოდ მე-10 კლასიდან დაიწყო ხტომა.

კარგი მონაცემები აქვს 18 წლის აკოფ არამიანსაც, რომელიც ახლა სამხტომში სტაბილურად ხტება 14 მეტრსა და 50 სანტიმეტრზე. კერსელიანი დიდ იმედებს ამყარებს მეორეკურსელ სტუდენტზე, 20 წლის სერგეი ლიტვინოვზეც. იგი უკვე ოსტატობის კანდიდატია — თავისუფლად იღებს ორმეტრიან სიმაღლეს. ბიჭებს არც გოგონები ჩამოუვარდებიან. პირველ რიგში კი საქართველოს ჩემპიონი ამანათრბენში 4X100 მეტრზე 15 წლის პირველთანრიგოსანი ტატიანა ემუხვარი (100 მეტრს ფარავს 12,6 წამში, ძლევს 160 სმ სიმაღლეს) და რესპუბლიკის ჩემპიონი 4X400 მეტრზე ამანათრბენში ლარისა რევა. ამ 16 წლის გოგონასაც უკვე მოზრდილთა პირველი თანრიგი აქვს.

სულ ა. კერსელიანს ამჟამად 30 ნორჩი მძლეოსანი ჰყავს, მათ შორის 10 სამხტომში ვარჯიშობს.

— ვიქტორთან ერთად ყველა, ოთხივე ოლიმპიადაზე ვიყავი, — იწყებს ა. კერსელიანი, — ისე, ალბათ, არსად გვინერვიულია, როგორც ოლიმპიურ ლუჟნიკში. ნაკრებში შეყვანისთვის ყველამ ერთსულოვნად მისცა ხმა სანეევს. მაგრამ, მოდით მოუსმინოთ „თვითონ“ სანეევს: „ფეხები მტკივა, სამველიჩ, რა ვქნა... ეგებ გამაყუჩებელი ნემსი გავიკეთო? ძალიან მინდა მოსკოვშიც ვიასპარეზო. ნუ გეშინია, სახლში მედლის გარეშე არ დავბრუნდები. ოლიმპიურ პირველობას არ დავუთმობ. თუ იგი მეორე იქნება, მე პირველი ვიქნები, თუ ბრაზილიელი მეხუთე შედეგს აჩვენებს, სამველიჩ, მე მაშინ მეოთხე ადგილზე გავალ!“

ამ სიტყვებს ტრაბახში ნუ ჩამოართმევთ ჩვენს სპორტსმენს. ოლიმპიელი, როგორც წესი, ვერ უძლებდა სანეევს, თუ გნებავთ მორალურად. აკი ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ჟოაომ მეგობრულად ჩამოართვა ხელი ვიქტორს და უთხრა — „შენ ხარ ჩემპიონი!“

ვიქტორს რაღაც კოეფიციენტი ე. წ. „შიპი“ აწუხებდა მარცხენა ფეხზე — მუხლსაც იტკივებდა. „სამველიჩ, დღეს ცეცხლში ვიხტუნავებ!“ ვიქტორის მეუღლესთან — ტანიასთან ერთად ვისხედით ტრიბუნაზე. ვღელავდით? რა იოლად წარმოითქმის ეს სიტყვა! გულშემატკივრები პირდაპირ გადაირივნენ: „შენ, ჩვენო იმედო, ვიქტორ, შენ უნდა გაიმარჯვო!“. საერთოდ, კარგია, როდესაც მაყურებლები მხარს გიჭერენ, მაგრამ როდესაც გიყვირიან „ფეხდაფეხ“ — ძალიან, ძალიან გეშლება ხელი, ნერვებიც გღალატობს, თუნდაც თვით სანეევი იყო — ჭკვიანი, ნებისყოფიანი ანალიტიკურად მოაზროვნე სპორტსმენი. დაუმატეთ ამას ისიც, რომ სწორედ იმ წამს მიეცა 100 მეტრზე ვაჟთა ფინალის სტარტი. გაიხსენეთ, მოულოდნელად, საიდანღაც ამოვარდნილი ვერაგი პირქარი (მეტეოროლოგებმა შემდგომ დაადგინეს მისი „ბოროტების“ ძალა — 1,5 მეტრი წამში)... ვიქტორმა არეკნის ხაზს მთელი 20 სანტიმეტრი დააკლო — 20 სანტიმეტრი, რომელსაც მისთვის ოქროს მედალი უნდა მოეტანა... სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სახლში „ოქროს ვერცხლის“ მედლით დაბრუნდა. მე მუდამ მჯეროდა შენი, ვიქტორ!..

ბედნიერ ცურვას გისურვებთ, „აფსნი“!

აფხაზეთის დედაქალაქის რესპუბლიკური სტადიონის დირექტორმა კარლო ზამბახიძემ სასტუმროში დაგვირეკა: „დღეს საღამოს ბალახის ჰოკეისტი ქალები ვარჯიშობენ ჩვენთან და იქნებ დაინტერესდეთო?“

...სოხუმელი მწვრთნელი ვლადიმერ კარამელი თავის დროზე ფეხბურთსაც თამაშობდა და ბურთიან ჰოკეისაც. ბალახის ჰოკეიზე კი ადრე არც უფიქრია. კაცმა რომ თქვას, ვლადიმერი არც დღეს გამოდის ჰოკეისტის ჩოგნით მწვანე მინდორზე, მაგრამ თუ სოხუმში ვინმე ლაპარაკობს ამ ახალ სახეობაზე, პირველ რიგში, ცხადია, ვ. კარამელს მოიხსენიებს.

43 წლის სპორტის ვეტერანმა სოხუმში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთაგან ბალახის ჰოკეისტთა გუნდი „აფსნი“ ჩამოაყალიბა. გამოცდილების გასაზიარებლად რამდენიმე მოთამაშე მოიწვია ყაზახეთიდან — ქალაქ ჯეზკაზგანის გუნდიდან.

მწვრთნელმა ვ. კარამელმა და გუნდის უფროსმა (საზოგადოებრივ საწყისებზე) ლევან დგებიამ კარგი, მებრძოლი კოლექტივი შექმნეს, რომელშიც ძირითადად 18-19 წლის სპორტსმენები არიან.

გუნდმა პირველ წარმატებას უკვე გასული წლის დამლევს მიაღწია, როდესაც სოხუმში გამართულ უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლების ტურნირში მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა. ასევე მესამე შედეგი ჰქონდათ აფხაზეთის ჰოკეისტ ქალებს წელს მაისში ისევ სოხუმში გამართულ საქართველოს პირველობაზე.

ივლისში „აფსნიმ“ ძალა სცადა უკვე საკავშირო შეჯიბრებაში — სსრ კავშირის II ლიგის პირველობის შესარჩევ მატჩებში. ამ ტურნირის პირველი წრე სოხუმში გაიმართა. „აფსნიმ“ უკან ჩამოიტოვა დნეპროპეტროვსკის „აზოტი“, სუმის „ბურევესტნიკი“, კრასნოდარის „სპარტაკი“, ბათუმის „კოლმეურნე“ და 6 ქულით დაწინაურდა. მეორე წრეში, რომელიც სუმში გაიმართა, აფხაზეთის ჰოკეისტებმა მეორე შედეგი აჩვენეს და ორივე წრის შედეგად საერთო II ადგილი დაიკავეს. „აფსნი“ გავიდა ფინალში, რომელშიც იასპარეზებენ ზონებში (4 ზონა) პირველ ორ ადგილზე გამოსული კოლექტივები.

— ვეცდებით გავამართლოთ გულშემატკივართა იმედები, — ამბობენ სოხუმელი ჰოკეისტები, — სასურველია მხოლოდ სპორტული ორგანიზაციების მეტი ყურადღება ჩვენი გუნდისადმი და საერთოდ, სპორტის ამ საინტერესო სახეობისადმი!

ვარჯიშობს „აფსნი“

ალახაძე — სპორტულ რუკაზე

პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა შ. წარიამ ჩვეული საქმიანობითა და თავაზიანობით ახალმოსული გაგვაცნო და დასძინა, ალახაძის სპორტულ ბაზას მამფორია გაგაცნობთ — დინამოელთა ბაზის მშენებლობის საქმის მწარმოებელი.

... ბიჭვინთისაკენ მიმავალმა გზამ მარჯვნივ გადაუხვია კვიპაროსებისა და მანდარინის ხეების სამფლობელოში. ციტრუსების მეურნეობაში მესერშემოვლებულ ლამაზ ჭალას მივადექით.

ჩვენი მეგზური — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტის კურსდამთავრებული ვლადიმერ მამფორია (იგი თვითონაც სპორტსმენი, მოკრივე იყო) სიამაყით გვიჩვენებს თავის „სამფლობელოს“. დინამოელთა 4-სართულიანი პანსიონატი 70 ადგილზეა გათვალისწინებული. უკვე ძირითადად დამთავრებულია სამეურნეო კორპუსის, საქვაბეს, საკვები ბლოკის მონტაჟი. ამჟამად წყლის გათბობის სამუშაოები მიმდინარეობს. ბაზას აქვს ფეხბურთის 2 მინდორი — ბალახის (მას 2.500 მაყურებლისთვის გათვალისწინებული 17-რიგიანი ტრიბუნა ექნება) და წიდოვანი, რაც აგრეთვე სავარჯიშოდ გამოიყენება. მინდორს (110X75) 4-ბილიკიანი სარბენი აქვს შემოვლებული, აქვეა მძლეოსნობის სხვა სექტორებიც. შორიახლოს კი მთავრდება კალათბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთის მოედნების მოწყობა. ვეცნობით მშენებლებს — შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერს, მებეტონე ალექსანდრე მიქავას, მომპირკეთებელ ვლადიმერ მარხვიშვილს, ელექტრიკოს კონსტანტინე ამირიდის, მუშებს იური გოლიკოვს და ფიქრი ამანოლის.

— ახალი სეზონის წინ დინამოელთა ბაზა სრულ მზადყოფნაში იქნება და, უნდა ვიფიქროთ, მოეწონებათ ჩვენს ფეხბურთელებს, — გვეუბნება ვ. მამფორია.

660 ფიზკულტურულ კოლექტივში 102 ათასზე მეტი ფიზკულტურელია გაერთიანებული. შარშან მომზადდა 3 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 19 სპორტის ოსტატი, 33 ათასზე მეტი თანრიგოსანი და 44 ათასი მშთ კომპლექსის ნიშნოსანი.

ავტონომიურ რესპუბლიკაში მუშაობს 15 ბავშვთა და მოზრდილთა სპორტული სკოლა, სადაც 4 ათასზე მეტი ნორჩი სპორტსმენი მეცადინეობს.

ალახაძეში...

საიდა გუნბა შუბით და... გიტარით

ალახაძიდან ბიჭვინთაში გავწიეთ, რათა გვენახა ჩვენი სახელოვანი ოლიმპიელი — მოსკოვის XXII თამაშების ვერცხლის მედალოსანი საიდა გუნბა. მაგრამ „ვერცხლის შუბის“ მფლობელი სახლში არ დაგვხვდა.

— შინ რა გაჩერებს, შეჯიბრება კარზეა მომდგარი და, ცხადია, ლესელიძეში იქნება.

სპორტსმენთათვის ესოდენ ნაცნობ და საყვარელ ბაზაზე — ლესელიძის პანსიონატ „სპორტში“ მისი მზრუნველი დირექტორი ავთანდილ გასვიანი დაგვხვდა:

— საიდა? ეს-ესაა თავის მწვრთნელთან — ილია გიგაურთან ერთად მთავარი მინდვრისკენ მიემართებოდა შუბებით ხელში. დღეს უკვე მეორედ ვარჯიშობს!

...მოსკოვის ოლიმპიადაზე გამართული შუბისმტყორცნელთა პრეს-კონფერენციის შემდეგ საიდა ვერცხლისწყალივით გაგვეპარა ჟურნალისტებს. აქ კი... ერთი სიტყვით, უკანდასახევი გზა აღარ ჰქონდა.

რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ი. გიგაური (წარსულში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი შუბის ტყორცნ[illegible] შენიშვ[illegible] ფეს დ[illegible] — [illegible] ტსმენი[illegible] სნილს, ძალაც საკმაოდ გაიხდა. ლესელიძეში ნაყოფიერი ვარჯიშისათვის ყველა პირობა გვაქვს შექმნილი, საერთოდ „სპორტი“ კარგად გვაქვს დაცდილი: ყველა დიდ შეჯიბრებაზე აქედან მივდივართ. შარშან, ხალხთა სპარტაკიადისთვისაც აქ ვემზადებოდით. მოსკოვის ოლიმპიადაზეც აქედან რომ გავმგზავრებულიყავით, იქნებ... ხუმრობა იქეთ იყოს და საიდა აქ მუდამ კარგ ფორმას იძენს. პირველად იგი 1976 წლის მაისში ვნახე თბილისში მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე. აფხაზეთის ნაკრების 17 წლის წევრმა მაშინ 46 მეტრსა და 58 სანტიმეტრზე ტყორცნა შუბი და I ადგილი მოიპოვა. თუმცა, პირველი გამარჯვება მან უფრო ადრე — პიატიგორსკში გამართულ პროფსაბჭოთა სპეციალიზებული სკოლების პირველობაზე იყოჩაღა. მისმა შუბმა 49 მეტრზე იფრინა.

მკვირცხლი, სწრაფი, ძლიერი, ნებისყოფიანი სპორტსმენი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. უკვე 4 წელიწადია ვავარჯიშებ მას. 1977 წელს გუნბამ გააუმჯობესა (54,86) დალი საბაურის რესპუბლიკური რეკორდი (53,68) მოზრდილთა შორის. ამის შემდეგ საიდამ ზედიზედ გაიმარჯვა რამდენიმე ასპარეზობაში — მოიგო იუნიო[illegible] (58,26), [illegible] სსრ კავ[illegible] 1978 წელს ჩემპიონატი (59,04), [illegible] ევროპის [illegible] (62,24), სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა (63,08). შემდეგ დადგა მოსკოვის ოლიმპიადაზე გამოსვლის ჯერი...

— მოსკოვში 5-6 ივლისს გამართულ ძმები ზნამენსკების მემორიალს უნდა დაესახელებინა ჩვენი ნაკრების პირველი ორი ნომერი (16 მონაწილიდან). 58,28 მეტრი ვაჩვენე და გავიმარჯვე, მეორე იყო ლიტველი იადვიგა პუტინენე, რომელიც თითქმის მეტრით ჩამომრჩა. მესამე კანდიდატი პოდოლსკში გამოავლინეს — 26 წლის ტაშკენტელი ტატიანა ბირიულინა, რომელმაც მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა — 70,08.

ლუჟნიკის დიდ სარბიელზე ძველმა ნაცნობებმა მოვიყარეთ თავი — ჩვენი ტრიოს გარდა აქ გამოდიოდნენ მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი რუტ ფუქსი (გდრ), რუმინელი ევა რადული, 22 წლის კუბელი მარია კოლონი (მას ხალხთა სპარტაკიადაზე მოვუგე) და სხვა. კარგ საბრძოლო განწყობაზე ვიყავი და, დამერწმუნეთ, გამარჯვებაზე ვფიქრობდი (ალბათ 70 მეტრზე ვტყორცნი-თქო). თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მხარი მტკიოდა — იტალიაში 1978 წელს ევროპის თასის გათამაშების დროს მიღებულმა ტრავმამ თავი იჩინა.

პირველ ცდაზე შუბი თავისუფლად ვტყორცნე, მაგრამ ოდნავ მაღალი ტრაექტორიით (66,08).

მეორე ნასროლი გაცილებით უკეთესად გამომივიდა (67,76), მესამე — საკმაოდ ცუდად (ალბათ 63 მეტრზე) და ამიტომ ბოლო მომენტში სასაზღვრო ხაზს განგებ გადავაბიჯე. მომდევნო ორიც არ იყო კარგად შესრულებული.

ბოლო ცდა სიზმარივით მახსოვს — ვხედავდი მხოლოდ შუბს და მინდორს. საკუთარ თავს ვეუბნებოდი: „უნდა მოიგო, შენ უკეთესი შედეგები გაქვს!“ ყველაფერი ტყორცნას ჩავაქსოვე... მხოლოდ 64 სანტიმეტრი წავაგე.

— დასანანია! ბიჭვინთაში ჩამოსვლისას ბევრჯერ მკითხეს, მართალია, რომ სტადიონზე დიდი ჭიშკრის გაღებით ხელოვნურად ზურგქარს აწყობდნენ, რაც ეხმარებოდა მტყორცნელებსო? სასაცილოდაც არ მყოფნის ეს მონაჭორი! ჯერ ერთი, ლუჟნიკში იმ დღეს გვერდითი ქარი უბერავდა და უფრო გვიშლიდა მოასპარეზეთ. ისე კი ცნობილია, რომ ზურგქარს შემხვედრი ქარი ჯობს. სწორედ მაშინ შეიძლება „შესვა“ შუბი საჰაერო ბალიშზე, ვით ფეხმარდ რაშზე. ერთი სიტყვით, მთავარი მაინც ვარჯიშია, გულმოდგინე, დაუღალავი ვარჯიში, რის შედეგად შეიძლება 71-72 მეტრზეც კი ტყორცნო იარაღი...

... შავ ზღვაზე თითქოს უეცრად გაღიძებული ტალღები მონოტონურად აშრიალებდნენ ნაპირს. ლესელიძის მრავალწლიანი პალმები და კვიპაროსი წყვდიადში გახვეულიყო. პანსიონატ „სპორტის“ კლუბში დადგმულ სათამაშო ავტომატებს ორი პატარა ბიჭუნა ჯიქურ თხოვდა ამჯერად მაინც დაგვემორჩილეთო. კუთხეში შავ პიანინოსთან მჯდარი თეთრი წერტილი დავლანდეთ. მოძრაობით შევიცანით. საიდა რაღაცას უკრავდა და თავისთვის ღიღინებდა. რა არისო — დავეკითხეთ. — სიმღერა ჩებურაშკაზე! გამოგიტყდებით, ასეთი ტექსტი და მელოდია პირველად გვესმოდა. ან და სად გავიგონებდით — „პოეტს, მომღერალსა და მუსიკოსს“ საიდა გუნბას ხომ პირველად ვუსმენდით. მერე ვიღაცამ გიტარა იშოვა და შეეხვეწა: „შენი მეორე სიმღერაც მოგვასმენინეო — მეგობრების შესახებ, წლეულს ბულგარეთში რომ გამღერეს ინტერნაციონალურ კონცერტზე“. ლირიულმა, დინჯმა, ცოტა სევდიანმა მელოდიამ დაატყვევა მთელი დარბაზი. თუმცა რა „მთელი“. დარბაზში სულ ოთხნი ვისხედით, თუ არ ჩავთვლით იმ მოუსვენარ ბიჭუნებს, წეღან სათამაშო ავტომატებთან საზღვაო ბრძოლით რომ იყვნენ გატაცებულნი, ახლა კი გაკვირვებულნი უმზერდნენ ოლიმპიელს.



საიდა გუნბა

დიდებული პერსპექტივა

ალბათ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეშერის ცენტრალურ სპორტულ ბაზას დღეს მარტო ჩვენს რესპუბლიკაში კი არა, მთელს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც იცნობენ. იცნობენ, პირველ რიგში იმით, რომ სწორედ აქედან მიდიან ყველაზე მნიშვნელოვან სპორტულ ასპარეზობაზე ჩვენი სახელოვანი ათლეტები. მიდიან და დიდ „მოსავალსაც“ იმკიან. აი, თუნდაც მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მონაწილენი ავიღოთ: სწორედ ეშერაში, ჩვენს ბაზაზე მოემზადნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები, რომლებმაც მთელი მსოფლიო განაცვიფრეს და ბევრი ოქრო-ვერცხლიც „იგდეს“ ხელთ. და განა მარტო ისინი?

ვინ არ გვეწვია აქ, ვის არ უვარჯიშიათ თითქმის 40 ჰექტარზე გადაჭიმულ სპორტულ კომპლექსში — სტადიონებსა თუ სათამაშო სახეობებისა და ტანვარჯიშის დარბაზებში, ჩოგბურთის კორტებზე, მძლეოსნურ სექტორებზე, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებზე.

მალე ჩვენი ბაზა კიდევ უფრო გაიზრდება და დამშვენდება. გამოყოფილი თანხა — ექვსი მილიონი მანეთი მოხმარდება ახალი სპორტული კომპლექსის აშენებას. გვექნება გადახურული საცურაო აუზი, 16-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომელშიც განლაგდება სამედიცინო ცენტრი, კვების ბლოკი, კინოსაკონცერტო დარბაზი, სპორტსმენთა დასასვენებელი ოთახები.

გარდა ამისა, პერსპექტიული გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია კრივის, ჭიდაობისა და ძალოსნობის დარბაზების მოწყობა.

ყოველივე ეს ჩვენი კომპლექსის ხვალინდელი დღეა, მისი ახლო მომავალი, რომელიც საშუალებას მოგვცემს უფრო ბევრი სპორტსმენი მოვამზადოთ და გზა დავულოცოთ ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ.

რ. არშბა,

საკავშირო სპორტკომიტეტის ეშერის ცენტრალური სპორტული ბაზის დირექტორი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

ტრადიცია გვავალებს

მდიდარი და მრავალწლიანი ისტორია აქვს ფეხბურთს აფხაზეთში. საკმარისია ითქვას, რომ სოხუმისა და ოჩამჩირის, გაგრისა და გუდაუთის, გალისა და ტყვარჩელის სტადიონებზე აღიზარდა სამ ათეულზე მეტი ფეხბურთელი, რომლებიც წლების მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის მთავარი გუნდის — თბილისის „დინამოს“ და ქვეყნის სხვა გუნდების ღირსებას იცავდნენ: ა. ლოლობერიძე და ნ. სიმონიანი, ა. ტყებუჩავა და ვ. სანაია, ვ. მარღანია და ა. გაბუნია, ი. ვარდიმიადი და ი. გრამატიკოპულო, ა. მინჯია და ი. კურტანიძე, გ. ბონდარენკო და ა. გვტმანოვი, ა. ნორაკიძე და გ. კვირკველია, ვ. ბარქაია და გ. სიჭინავა, გ. გავაშელი და ნ. ნანბა. თბილისის „დინამოს“ კოლექტივში დღესაც თამაშობენ აფხაზეთის ფეხბურთის აღზრდილნი ვ. დარასელია, გ. ცაავა, გ. დოჩია და ნ. მესხია.

1936 წლიდან შავი ზღვის სანაპიროზე ყოველწლიურად ჩამოდიან ჩვენი ქვეყნის წამყვანი კოლექტივები, რომლებიც სოხუმის, გაგრის, ლესელიძის, ოჩამჩირის, გუდაუთის სტადიონებზე საგაზაფხულო საწვრთნელ-სასწავლო შეკრებას ატარებენ. მოსკოველ, ლენინგრადელ, კიეველ და თბილისელ ოსტატებთან ხშირი შეხვედრები საუკეთესო სკოლა იყო ადგილობრივ ფეხბურთელთა ოსტატობის ამაღლებისთვის.

უკვე ომისწინა წლებში სარბიელზე გამოვიდა სოხუმის „დინამო“ — საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი. წლების მანძილზე ამ გუნდს ავარჯიშებდნენ შესანიშნავი მწვრთნელები მ. თურქია და შ. ლომინაძე, რომლებმაც ბევრი საუკეთესო ოსტატი აღუზარდეს საბჭოთა ფეხბურთს. სამწუხაროდ, შემდგომ სოხუმელთა მთავარი გუნდიდან გამოსულ ნიჭიერ ფეხბურთელთა რაოდენობამ რამდენადმე იკლო, რაც ძირითადად ახალგაზრდა მოთამაშეებთან არასათანადო ნაყოფიერ მუშაობას უნდა მივაწეროთ.

ამჟამად ჩვენს ნორჩ ფეხბურთელებს სათავეში ჩაუდგა სოხუმის ფეხბურთის აღზრდილი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. ნორაკიძე, რომელიც სოხუმის „დინამოს“ გუნდთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფის (10-12 წლის) მოთამაშეებს წვრთნის. გამოცდილი აღმზრდელი სოხუმის „დინამოს“ სტადიონზე ყოველდღიურად აწარმოებს ბავშვების გასინჯვას, ნიჭიერ ფეხბურთელთა შერჩევას.

რაც შეეხება ჩვენს გუნდს — სოხუმის „დინამოს“, რომელსაც სათავეში გასული წლის სეზონიდან ჩავუდექი, აქ მთელი რიგი ნიჭიერი ფეხბურთელები გვყავს — 21 წლის მარჯვენა მცველი თემურ ჟიბა, განაპირა თავდამსხმელები მურმან კობალია და ალკას ქანთარია, მეკარე გურგენ ზინიძე და სხვა. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენს გუნდს გაახალგაზრდავება სჭირდება, ამასთან, ცხადია, ადგილობრივი ფეხბურთელების ხარჯზე, რაც ყოველთვის დამახასიათებელი იყო სოხუმის „დინამოსათვის“.

ნიაზი ქიაპშია,

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სოხუმის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი.

საბჭოთა აფხაზეთისადმი მიძღვნილი მასალები მოამზადეს „ლელოს“ სპეციალურმა კორესპონდენტებმა **ო. ნოზაძემ** და **თ. [illegible]შვილმა.**

● ხელბურთი ● თასების მფლობელთა თასზე



ამ ფოტოსურათებზე, რომლებიც ჩვენმა კორესპონდენტმა ა. კოტორაშვილმა სპორტის სასახლეში გადაიღო, თბილისის „ბურევესტნიკისა" და ჩეხოსლოვაკიის ქალაქ კომიცეს ვსკ-ს ხელბურთელთა გუშინწინდელი შეხვედრის მომენტებია აღბეჭდილი. მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა თბილისელთა მარჯვენა გარემარბმა, სსრ კავშირის ნაკრების წევრმა ა. ტაბიძემ, რომელმაც ამ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა; ცოტაც და ჯ. დვალიშვილი (№ 10) ბოლო, 25-ე გოლს გაიტანს სტუმართა კარში; „ბურევესტნიკის" გამთამაშებელი, მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვ. გასი შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. მას სამახსოვრო პრიზს გადასცემს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე რ. ლომინაძე.

● ჭადრაკი

თბილისსა და...

თბილისის ჭადრაკის სასახლეში, სადაც მიმდინარეობს ვ. გოგლიძის მემორიალი, გუშინ გათამაშდა მესამე ტური.

შედეგიანი მხოლოდ ერთი პარტია აღმოჩნდა — უბილავამ დაამარცხა შუსლერი. ყაიმით დამთავრდა: პრიბილ—გურგენიძის, გუფელდ—აზმაიფარაშვილის, ბრონშტეინ—ბაგიროვის, სანს—მიხალჩიშინის ორთაბრძოლები.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. ზაიჩიკს ზედმეტი პაიკი აქვს კორდოსოსთან, სტურუას—უარესი მდგომარეობა დვორეცკისთან, ხოლო ჯურიჩ—გარსიას პარტია რთულ პოზიციაში შეწყდა.

3 ტურის შემდეგ ბაგიროვს და გუფელდს 2,2 ქულა აქვთ, უბილავას — 1,5 ქულა და უკეთეს პოზიციაში გადადებული პარტია.

ტაშკენტში

გუშინ ტაშკენტში, ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში გადადებული პარტიების დამთავრების დღე იყო. ჩიბურდანიძემ დაამარცხა უინგორნი და დაუზავდა დოლმატოვს, ბელიავსკიმ დაამარცხა პანჩენკო და ცეშკოვსკი, რაშკოვსკიმ—დორფმანი და ტუკმაკოვი, რომანიშინმა—პლატონოვი, რომელმაც თავის მხრივ მოუგო პანჩენკოს.

ყაიმით დასრულდა აგზამოვ—ცეშკოვსკის და ტუკმაკოვ—სიდეიფ-ზადეს პარტიები.

განთიადელთა წარმატება

კიევში ახლახან დამთავრებულმა საკავშირო თასის გათამაშებამ აკადემიურ ნიჩბოსნობაში გახსნა ახალი ოლიმპიური ციკლი. ამიტომაც ასპარეზობაში ქვეყნის ყველა უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობდა.

ქალთა შორის ოთხადგილიანი მესაჭიანი გასაშლელით რბოლის ფინალში **„განთიადის" ცენტრალური საბჭოს გუნდმა,** რომლის შემადგენლობაში იყვნენ ა. ზინენკო (მომსმელი), ი. ეფიმოვა, ვ. კიავერიაინენი, ლ. ცარციძე და მესაჭე — ე. კვენეტაძე, **მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.** იგი ოდნავ ჩამორჩა „დაუგავას". უძლიერესი გახდა ქვეყნის ნაკრები — ს. და ვ. სემიონოვები, მ. სტუდნევა, თ. შვეცოვა, მესაჭე—ნ. ჩერემისინა.

სხვა ნავებით გამარჯვებულნი გამოვიდნენ: ორადგილიანი წყვილმოსასმელიანით—მ. ზალიტე და გ. კილევიცა („დინამო"); უმესაჭო ორიანით — ო. ლანდი და ს. მოროზოვა; ერთადგილიანით — მ. კოკარევიჩა („დაუგავა"); ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანით — „სპარტაკი" (ო. ვასილჩენკო, ლ. პავლენკო, ი. ნეკრასოვა, ვ. კუდრიაშოვა, მესაჭე — ნ. გუსევა); რვაადგილიანით — საბჭოთა ნაკრები, რომლის მომსმელი იყო ტ. დულუბი.

ვაჟებში წარმატებას მიაღწიეს: ერთადგილიანით — ვ. დოვგოლკოვმა („ავანგარდი"), ორადგილიანი გასაშლელით — არმიელებმა (გ. კრიუჩკინი, ვ. პერევერზევი, მესაჭე — ა. ლუკიანოვი), უმესაჭო ორადგილიანი გასაშლელით — ძმებმა ნ. და ი. პიმენოვებმა („ტრუდი"), ორადგილიანი წყვილმოსასმელიანით — ვ. ატაპინმა და ვ. კოლდიშკინმა („ბურევესტნიკი"), ოთხადგილიანი უმესაჭო გასაშლელით — ნაკრებმა (ვ. ელისეევი, ა. კულაგინი, ა. კამკინი, ვ. დორინი), გასაშლელი მესაჭიანით — „დინამოს" კვარტეტმა (ვ. დიდუკი, ვ. კრილოვი, ა. ვლასოვი, ა. სმირნოვი, მესაჭე — ს. კოლიშკინი), ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანით — არმიელებმა (ვ. შუშინი, ვ. ტიხონოვი, გ. პერშინი, ვ. შვეცი), რვაადგილიანით — ქვეყნის ნაკრებმა (მომსმელი ვ. პრეობრაჟენსკი).

● ჩოგბურთი

მასპინძლები — მეოთხე ადგილზე

თბილისში დასასრულს უახლოვდება ჩოგბურთელთა საკავშირო თასების გათამაშება.

გუშინ, მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და ბელორუსიის კოლექტივები.

მინსკელმა ს. ლეონიუკმა ბოლო დროს საგრძნობლად აიმაღლა თამაშის კლასი და რამდენიმე ძლიერი შემადგენლობის ტურნირში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ამაზე საკავშირო კლასიფიკაციაში მისი მაღალი ადგილიც (XI) მეტყველებს. ამ მხრივ მინსკელი ჩოგბურთელი ბევრად წინაა გ. ელერდაშვილზე, რომელიც უძლიერესთა სიაში 23-ეა. მაგრამ მათ ორთაბრძოლაში ეს სრულიადაც არ იგრძნობოდა. — მთელი შეხვედრა ქართველი სპორტსმენის უპირატესობით მიმდინარეობდა და მისი დამაჯერებელი გამარჯვებითაც დამთავრდა — 6:2, 6:3, 6:4.

სამწუხაროდ, ეს იყო მასპინძელთა ერთადერთი წარმატება.

ვ. ბაქშიმ წინადღით ლენინგრადელ ს. ბოგდანოვთან მოპოვებული ძნელი გამარჯვების შემდეგ ამჯერად სუსტად იასპარეზა და თითქმის უბრძოლველად დანებდა ა. ტეტერინს — 1:6, 1:6, 1:6.

ვ. ხურდამ პირველი პარტია ი. ტიხონკოს ადვილად მოუგო —6:1. შემდეგ კი, მომდევნო სამი ხელი, ასევე ადვილად დაუთმო მეტოქეს — 1:6, 2:6, 2:6.

მ. სალარაძემ ა. დემიდენკოსთან მხოლოდ მესამე პარტიაში ითამაშა კარგად (პირველი ორი მინსკელმა ჩოგბურთელმა იოლად მოიგო — 6:2, 6:0) და წინაც გავიდა — 5:4, 6:5, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა — 6:7.

წყვილთა შეხვედრაში დემიდენკომ და ტიხონკომ სძლიეს ხურდა-სალარაძის დუეტს — 6:3, 6:3, 6:3.

ამრიგად, საქართველოს ნაკრებმა ეს პრინციპული შეხვედრა დათმო ანგარიშით 1:4 და საბოლოოდ მეოთხე ადგილი დაიკავა.

გ. ახალაძე.

* * *

სურათებზე: მინსკელი ნ. დროზდოვა (ზემოთ) და როსტოველი ა. ზვერევი ასპარეზობისას.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

ევროპის ჩემპიონის წარმატება

ნიქოზიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში წარმატებით იასპარეზა ევროპის ჩემპიონმა მოსკოველმა ვ. ბორისოვმა ფინალში მან დაამარცხა ბულგარელი ბ. პამპულოვი — 6:1, 6:3, 6:4. ტურნირში 6 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

სენსაციის ავტორი

ბულგარეთის ჩემპიონატი, რომელიც სოფიაში მიმდინარეობდა, სენსაციით დამთავრდა. მისი ავტორია 13 წლის მ. მალეევა. ამ გოგონამ პირველობა მოიგო ერთეულთა, წყვილთა და შერეულ წყვილთა შეჯიბრებებში.

„გრან პრის" სერიიდან

ბარსელონაში გამართული საერთაშორისო ტურნირი „გრან პრის" სერიიდან მოიგო 20 წლის ი. ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია). ფინალში მან დაამარცხა არგენტინელი გ. ვილასი — 6:4, 5:7, 6:4, 4:6, 6:1.

● ფეხბურთი

I ლიგა

14 ოქტომბერს გაიმართა საკავშირო გათამაშების მე-40 ტურის კალენდარული მატჩები I ლიგის ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

ქუთაისის ტორპედოელები დნეპროპეტროვსკში შეხვდნენ გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს — ადგილობრივ „დნეპრს" და ფრედ დაამთავრეს თამაში — 1:1. ლანჩხუთის „გურიამ" ნიკოპოლში მარცხი განიცადა „კოლოსისგან" — 0:1.

ტურის სხვა შედეგები ასეთია: „ზარია" (ვოროშილოვგრადი) — „პამირი" (დუშანბე) — 1:1, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „ბუსტონი" (ჯიზაკი) 5:1, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — ასკ (ოდესა) 0:1, „ისკრა" (სმოლენსკი) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 0:2, „შინიკი" (იაროსლავლი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 0:2, „ფაკელი" (ვორონეჟი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 3:0, „კუზბასი" (კემეროვო) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 2:1, ასკ (ხაბაროვსკი) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 0:0, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 3:1, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „დინამო" (სტავროპოლი) 2:3.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტავრია"	39	22	9	8	70—37	53
„მეტ-ტი"	40	21	10	9	64—33	52
„დნეპ."	40	22	7	11	48—42	51
„პამირი"	40	20	9	11	57—45	49
ასკ ხ.	40	18	9	13	42—50	45
„კოლოსი"	40	17	11	12	61—41	45
„ისკრა"	40	17	9	14	44—35	43
„დინამო"	40	20	2	18	55—59	42
„ნისტ."	40	18	6	16	52—46	42
„ზარია"	40	17	8	15	62—53	42
„ფაკელი"	40	15	14	11	44—33	42
„ტორპ."	40	15	9	16	52—42	39
„გურია"	40	15	8	17	59—64	38
„ბუსტ."	40	14	10	16	43—51	38
„ჟალგ."	40	13	14	13	44—33	38
„კუზბ."	40	16	5	19	53—68	37
„სპ." ორ.	40	15	7	18	38—44	37
„შინიკი"	40	12	14	14	37—44	36
„სპ." ი.-ფ.	40	13	9	18	45—59	35
ასკ ოდ.	39	13	8	18	39—39	34
„მეტ-გი"	40	11	10	19	44—63	32
„კრ. სოვ."	40	10	14	16	38—55	32
„სპ." ნ.	40	6	15	19	30—49	24
„ურალ."	40	8	5	27	30—66	21

ვეტერანის პრიზზე

ხვალ იწყება სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის სახელობის ტრადიციული პრიზის გათამაშება, რომელშიც რესპუბლიკის II ლიგის ფეხბურთელთა გუნდები მონაწილეობენ. ესენია: „ლოკომოტივი" (სამტრედია), „დინამო" (სოხუმი), „კოლხეთი" (ფოთი), „დინამო" (ბათუმი), „დილა" (გორი), „მეტალურგი" (რუსთავი), „დინამო" (ზუგდიდი). გათამაშება ჩატარდება ერთ წრედ, საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე.

„სპორტლოტო"

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" 41-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 49"- დან

პირველი: ექვსი და ექვსი (შეღავათიანი ბურთულით) ციფრები ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (7 ბარათი) მოგება 5364 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით, 25 ბარათი) — 105, ოთხისთვის (574 ბარათი) — 80, სამისთვის (13180 ბარათი) — 3.

მეორე: ექვსი და ექვსი (შეღავათიანი ბურთულით) ციფრები აქაც ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (2 ბარათი) მოგება 9574 მანეთია, ხუთისთვის 12 (ბარათი) — 80, ოთხისთვის (365 ბარათი) — 55, სამისთვის (7902 ბარათი) — 3.

„სპორტლოტო 5 36"-დან

პირველი: ხუთი ციფრის გამოცნობისათვის (5 ბარათი) მოგება 9884 მანეთია, ოთხისთვის (635 ბარათი) — 129, სამისთვის (14432 ბარათი) — 8.

მეორე: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (1 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (434 ბარათი) — 270, სამისთვის (17023 ბარათი) — 7.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 22 ოქტომბრიდან 22 ნოემბრის ჩათვლით.

პანორამა

კვლავ რეკორდი

მეხიკოს ხისსაფარიან ტრეკზე დაიწყო იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტში. 1000 მეტრზე გიტში ოქროს მედალი მოიპოვა მ. მალხოვმა (გდრ) — 1.02,54. ეს შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდია და 1,28 წამით აღემატება კანადელი გ. სინგლეტონის მიერ აქვე ორიოდე დღის წინ დამყარებულ მიღწევას. ჩემპიონატში ვერცხლის მედალი ერგო 18 წლის რიგელ ა. ლოჩმელისს — 1.04,64. მან 0,08 წამით აჯობა მესამე პრიზიორს, ბ. ვენეკს (გფრ).

რედაქტორი ა. ბასილაია.

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონი
(ა. წერეთლის გამზირი № 2)
17 და 18 ოქტომბერი
სსრ კავშირის ჩემპიონატი
ფ ე ხ ბ უ რ თ ი
„დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი)
17 ოქტომბერს — სათადარიგო შემადგენლობანი
დასაწყისი 18 საათზე
18 ოქტომბერს — ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 17 საათზე
ორგანიზაციებზე ბილეთები გაიყიდება 16 და 17 ოქტომბერს დილის 10 საათიდან. ბილეთების საერთო გაყიდვა 18 ოქტომბერს დილის 10 საათიდან „დინამოს" სტადიონის სალაროებში.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-42, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-53; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-26; სამპატრო — 93-97-55; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 02469